დამტკიცებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2019 წლის 17 დეკემბრის №119/1 დადგენილებით

სარჩელის რეგისტრაციის №_____ მიღების თარიღი: _____/_____/_____

კონსტიტუციური სარჩელის სასარჩელო სააპლიკაციო ფორმა

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით საქართველოს ნორმატიული აქტის შესაბამისობის შესახებ (საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

ფორმის შევსების დეტალური ინსტრუქცია და რჩევები შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე www.constcourt.ge. სარჩელის ფორმის თაობაზე, კითხვების ან/და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ https://www.constcourt.ge/ka/contact.

I ფორმალური ნაწილი		
1. მოსარჩელე/მოსარჩელეები *შენიშვნა* [1]		
1. **შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი** 2. **ააიპ სტუდია მონიტორი**	1. 2.	1.
სახელი, გვარი/დასახელება	პირადი/ საიდენტიფიკაციო №	ტელეფონის ნომერი

1. 2.	1.	1. 2. ;
ელექტრონული ფოსტა	მოქალაქეობა, რეგისტრაციის ადგილი	მისამართი

2. მოსარჩელის წარმომადგენელი/წარმომადგენლები *შენიშვნა* [2]		
1. შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, დირექტორი გელა მთივლიშვილი 2. ააიპ სტუდია მონიტორის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, გამგეობის თავმჯდომარე ნინო ზურიაშვილი	1.	1.
სახელი გვარი/დასახელება	პირადი/საიდენტიფიკაციო №	ტელეფონის ნომერი

1. 2.	1. ; 2. ;
ელექტრონული ფოსტა	მისამართი

[1] თუ მოსარჩელეთა რაოდენობა არის ორი ან ორზე მეტი, თითოეული მოსარჩელის მონაცემები შეიყვანეთ თანმიმდევრულად და გამოიყენეთ ნუმერაცია. სარჩელიდან ცხადად უნდა ირკვეოდეს, რომელ მოსარჩელეს უკავშირდება ამ ველში შეყვანილი მონაცემი. თუ მოსარჩელე ერთდროულად არის რამდენიმე ქვეყნის მოქალაქე, მიუთითეთ შესაბამისი სახელმწიფოები.

[2] კონსტიტუციურ სარჩელს უნდა ერთვოდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ წარმომადგენლების რაოდენობა არის ორი ან ორზე მეტი, იმოქმედეთ N1 შენიშვნის შესაბამისად.

3. სადავო სამართლებრივი აქტ(ებ)ი. *შენიშვნა*[3]

აქტის დასახელება	1. საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“
მიღების თარიღი	1. 28/05/2024
მოპასუხის დასახელება	1. საქართველოს პარლამენტი
მოპასუხის მისამართი	1. რუსთაველის გამზირი N8, 0118, საქართველო, თბილისი

4. მიუთითეთ სადავო ნორმა/ნორმებ. აგრეთვე, მათ გასწვრივ კონსტიტუციური დებულება/დებულებები, რომლებთან მიმართებითაც ითხოვთ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. *შენიშვნა* [4]

სადავო ნორმატიული აქტი (ნორმა)	საქართველოს კონსტიტუციის დებულება
„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“ ქვეპუნქტები, მე-4 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები, მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, მე-8 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები, მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი	საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები; საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი

[3] მიუთითეთ ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც შეიცავს, ადგენს სადავო ნორმებს. მიუთითეთ, ამ ნორმატიული აქტის მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი. რამდენიმე ნორმატიული აქტის დამატების შემთხვევაში, გამოიყენეთ ნუმერაცია.

[4] გთხოვთ ჩამოაყალიბოთ სასარჩელო მოთხოვნის ფორმალური მხარე. კერძოდ, რომელ სადავო ნორმას კონსტიტუციის რომელ მუხლთან, პუნქტთან, ქვეპუნქტთან ან/და წინადადებასთან ხდით სადავოდ. მიუთითეთ, კონკრეტული სადავო ნორმა (ნორმატიული აქტის სადავო შინაარსობრივი ნაწილის იდენტიფიკაციის საშუალებები მაგ. მუხლი, პუნქტი/ნაწილი, ქვეპუნქტი, წინადადება და ა.შ) და მის გასწვრივ საქართველოს კონსტიტუციის ის დებულება, რომლის მიმართაც მოითხოვთ აღნიშნული სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. თუ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობიდან გამომდინარე ფორმაში მოცემული სივრცე არ იქნება საკმარისი, ფორმა იძლევა ველების დამატების შესაძლებლობას. თუ ტექნიკურად ვერ ახერხებთ ახალი ველების დამატებას, ბოლო ველში შეგიძლიათ მიუთითოთ ერთზე მეტი სადავო ნორმა და კონსტიტუციის დებულება. ასეთ შემთხვევაში გთხოვთ, გამოიყენეთ ნუმერაცია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სასარჩელო მოთხოვნის ცხადად იდენტიფიცირება.

5. მიუთითეთ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც უფლებას განიჭებთ, მიმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ,“საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე მუხლი, 31^1-ე მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

II
კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება

1. განმარტებები კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით. *შენიშვნა*[5]

ა) სარჩელი ფორმით და შინაარსით შეესაბამება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31[1] მუხლის მოთხოვნებს;

ბ) შეტანილია უფლებამოსილი სუბიექტების მიერ;

მოსარჩელე შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ ფლობს და მართავს ისეთ ონლაინგამოცემებს როგორიცაა, „მთის ამბები (https://mtisambebi.ge/) და საქართველოს ამბები (https://sakartvelosambebi.ge/ge/). „საქართველოს ამბები“ დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ონლაინგამოცემაა, რომელიც მკითხველს სთავაზობს ფაქტებზე დაფუძნებულ, მიუკერძოებელ ახალ ამბებს, ანალიტიკური და საგამოძიებო შინაარსის მედიაპროდუქტს. „საქართველოს ამბებისთვის“ პრიორიტეტულია რეგიონების გაშუქება. გამოცემა ინფორმაციას ავრცელებს ოთხ ენაზე - ქართულად, სომხურად, აზერბაიჯანულად და ინგლისურად. რაც შეეხება „მთის ამბებს“, მაღალმთიან რეგიონებზე ფოკუსირებული ერთადერთი მედიარესურსია საქართველოში. „მთის ამბები“ ქმნის კონსტრუქციული ჟურნალისტიკის პირველ პრეცედენტს ქვეყანაში, ბოლომდე მიჰყვება თემებს და ცდილობს, თავისი ჟურნალისტური საქმიანობითა და აქტიური სამოქალაქო მობილიზებით, მოქალაქეებთან ერთად დაწყებული ადვოკატირების კამპანიებით ცვლილებები გამოიწვიოს. „მთის ამბების“ ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საგამოძიებო ჟურნალისტიკაა ადამიანის უფლებების დარღვევებზე, გარემოსდაცვით პრობლემებზე, კორუფციის, კრონიზმის ფაქტებსა და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სხვა თემებზე.

მოსარჩელე - „სტუდია მონიტორი“ (https://monitori.ge/), დამოუკიდებელი ჟურნალისტების გუნდია, რომელიც მუშაობს იმ ადამიანებისთვის, ვისი უფლებებიც შეილახა, ვინც იბრძვის სამართლიანობისთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია პროგრესი და ხელისუფლების ანგარიშვალდებულება. ამისათვის „სტუდია მონიტორი“ ამზადებს ჟურნალისტურ გამოძიებებს, რომლებიც ამხელენ სისტემის ხარვეზებს, დანაშაულს და უსამართლობას.

მოსარჩელეები აკმაყოფილებენ სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოსავლის კრიტერიუმს, მათ შორის, 2023 წლის მდგომარეობით. შესაბამისად, მოსარჩელეები, როგორც ონლაინმედიები, მასობრივი ინფორმაციის გასავრცელებლად ფლობენ ინტერნეტდომენებს და სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოქმედების ქვეშ ექცევიან. მოსარჩელე ა(ა)იპ „სტუდია მონიტორი“, ონლაინმედიასთან ერთად, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ ა(ა)იპ-ს და ექცევა სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნტის

[5] დაასაბუთეთ, რომ მოსარჩელე/მოსარჩელეები არიან უფლებამოსილი სუბიექტები მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ არგუმენტაცია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31[3] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციურის წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის სხვა საფუძვლების არარსებობის შესახებ.

სფეროში.

ორივე მოსარჩელე სრულად აკმაყოფილებს სადავო კანონის მიერ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ ცნობისთვის დაწესებულ კრიტერიუმებს და მათზე სრულად გავრცელდება ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულებები და სანქციები.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.“

გ) „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმების შინაარსი და მათი მიმართება იდენტიფიცირებულ კონსტიტუციურ დებულებებთან.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმები მოსარჩელეებისთვის არაერთი განსხვავებული ტიპის ვალდებულებას ითვალისწინებს, მათ შორის, მათ ანიჭებს მასტიგმატიზებელ სტატუსს, ითვალისწინებს მონიტორინგის, ჯარიმების და უფლების შემზღუდველ სხვა მექანიზმებს:

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები მოსარჩელეებს აკვალიფიცირებს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“. მოსარჩელეებს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების მასტიგმატიზებელი სტატუსი ენიჭებათ იმის გამო, რომ მათ წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტი საერთაშორისო დონორებისგან აქვთ მიღებული, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აღნიშნული დაფინანსება ისევ ქვეყნის კეთილდღეობას, ეთიკური და ფაქტებზე დაფუძნებული მედიაპროდუქტების შექმნას, ხარისხიანი ჟურნალისტიკით საზოგადოების ინფორმირებას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ ჩართულობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას, დემოკრატიულ განვითარებას ხმარდება; მოსარჩელეები ახორციელებენ ქვეყნისთვის/საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან უამრავს საქმეს, მათ შორის, აშუქებენ ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და ხელს უწყობენ მათ გადაწყვეტას; ააშკარავებენ ადამიანების ჩაგვრის, უფლებების დარღვევის შემთხვევებს და ხელს უწყობენ/ეხმარებიან დაჩაგრულ პირებსა თუ ჯგუფებს დარღვეული უფლებების აღდგენაში; ეწევიან საგამოძიებო ჟურნალისტურ საქმიანობას და ამხელენ სახელმწიფო მოხელეებისა და მაღალჩინოსნების კორუფციულ ქმედებებს/შეთანხმებებს, რითაც მოსარჩელეები მხოლოდ ქართულ სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ.

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის

დასახელება და ამავე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, და მე-6 პუნქტები, ამავე კანონის მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, ადგენენ ორგანიზაციათა მადისკრედიტებელ რეესტრში რეგისტრაციის და ამ მიზნით, შესაბამისი განცხადების, განაცხადის/საფინანსო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას. სადავო კანონი ითხოვს ისეთი ინფორმაციის წარდგენას, რომელსაც ორგანიზაციები ისედაც უკვე წარადგენენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში (შემოსავლების სამსახურში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში და ა.შ). მსგავსი ტიპის ინფორმაცია არ წარმოადგენს დამალულ/საიდუმლო ინფორმაციას, რომელზეც სახელმწიფო სტრუქტურებს ხელი არ მიუწვდებათ; ამდენად, ასეთი ინფორმაციის სახელმწიფოსთვის ხელმისაწვდომობის მოტივი (რაც სადავო კანონის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან დასაბუთებებში ვრცელდება) ვერანაირად ვერ გაამართლებს მოსარჩელეებისთვის მადისკრედიტებელი, ღირსების შემლახველი რეესტრის შექმნას და მასში რეგისტრაციის ვალდებულების დაკისრებას;

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი და ამავე კანონის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი, მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტი, მე-8 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები ითვალისწინებენ ორგანიზაციის მონიტორინგის შესაძლებლობას და ამ პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანიჭებს პერსონალური მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების მოძიების, ნებისმიერი სუბიექტისგან გამოთხოვის უფლებამოსილებას. კანონის ჩანაწერი იმდენად ფართოა, რომ უფლებამოსილ პირს ანიჭებს პრაქტიკულად ყველა სახის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობას, მათ შორის, იმ პირების/წყაროების/რესპონდენტების შესახებ ინფორმაციის, რომლებმაც მოსარჩელეებს ინფორმაცია/დოკუმენტაცია/სამხილები მიაწოდეს კონფიდენციალობის გარანტიით. სადავო მუხლებითა და პუნქტებით ილახება მოსარჩელეების (როგორც მედიაორგანიზაციების) და ჟურნალისტების უფლება, დაიცვან ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი შეხედულების შესაბამისად მიიღონ სარედაქციო გადაწყვეტილებები;

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ითვალისწინებს ზემოთ აღწერილი სხვადასხვა ვალდებულების დარღვევისთვის შესაბამის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, განსაკუთრებით მაღალი ოდენობის ფულადი ჯარიმებით. მოსარჩელეები საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსებას იღებენ პროექტების სახით, აღნიშნული პრაქტიკულად მათ ძირითად შემოსავალს წარმოადგენს. საგამოძიებო ჟურნალისტიკის, ხელისუფლების პირველი პირების ან სხვა მაღალჩინოსნების შესაძლო დანაშაულებრივ საქმიანობაში მხილების გამო, მოსარჩელეებს ისედაც არ აქვთ სარეკლამო შემოსავალი. პოტენციური დამკვეთები თავს არიდებენ ასეთ მედიებთან თანამშრომლობას, ხელისუფლებისგან მოსალოდნელი წნეხის შიშით. საერთაშორისო დონორებისგან მიღებული რესურსების გამოყენება მოსარჩელეებს მხოლოდ პროექტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად შეუძლიათ. მეტიც, საპროექტო/საგრანტო ხელშეკრულებებით იკრძალება მიღებული

ფინანსური სახსრების საჯაროსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომისთვის - ჯარიმის გადასახდელად გამოყენება. ნათელია, რომ შეუსაბამოდ მაღალი ჯარიმები, რომლებიც გამოიყენება მოსარჩელეებისგან ისეთი ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც მათ კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებების არღვევს, საშუალო ან გრძელვადიან პერიოდში, აუცილებლად გამოწვევს მათი (მოსარჩელეების) საქმიანობის შეწყვეტას;

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი კანონის დროში მოქმედების საკითხს აწესრიგებს და მის ამოქმედებას ითვალისწინებს კანონის ძალაში შესვლამდე პერიოდში განხორციელებულ საქმიანობებთან მიმართებითაც. სადავო პუნქტი მოსარჩელეებს არ აძლევს არჩევანს, შესაძლებლობას და მათ ავტომატურად აქცევს მასტიგმატიზებელი / მადისკრედიტებელი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის" სტატუსის მატარებლად.

თითოეული სადავო მუხლისა და პუნქტის მოწესრიგება ზღუდავს მოსარჩელის (ააიპ სტუდია მონიტორის) საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით და მოსარჩელეთა (შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელის და ააიპ სტუდია მონიტორის) საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებით, ასევე, 22-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ და გარანტირებულ უფლებათა სფეროებს;

დ) კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი საკითხები, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

ე) სარჩელში მითითებული არცერთი სადავო საკითხი, ჯერჯერობით, არ არის გადაწყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ;

ვ) კანონმდებლობა კონკრეტულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადას სარჩელის წარსადგენად;

ზ) სადავო აქტი საკანონმდებლო აქტია და მის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შესაძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.

1. კონსტიტუციური სარჩელის არსი და დასაბუთება *შენიშვნა*[6]

1. მოსარჩელე ორგანიზაციები და ხელისუფლების მიერ მათი დევნა სადავო კანონის მიღებამდე

საქართველოში მოქმედ ბევრ სხვა მედია და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან ერთად, მოსარჩელეებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ და ეწინააღმდეგებიან „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას[7], რადგან იგი კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებთან საფუძველშივე შეუსაბამოა, რასაც ადასტურებს რუსეთში მოქმედ მსგავს კანონზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება[8], უნგრეთის მსგავს კანონზე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება[9], ასევე, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ 2023 წელს მომზადებული დასკვნა[10] და ვენეციის კომისიის 2024 წლის გადაუდებელი დასკვნა[11].

„მხოლოდ სტაბილური და სამართლიანი კანონმდებლობაა ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვის სერიოზული გარანტი, ნორმატიულმა აქტმა მხოლოდ ასე შეიძლება შეინარჩუნოს სრულიად მისთვის დამახასიათებელი ნიშან–თვისებები. აღნიშნულ მოთხოვნათა უგულვებელყოფით კი ირღვევა კანონთა სამართლიანობისა და შეუქცევადობის პრინციპი[12].“

---

[6] გთხოვთ, წარმოადგინოთ დასაბუთება სადავო ნორმის (ნორმების) საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებასთან მიმართებით არაკონსტიტუციურობის თაობაზე. თუ სადავო ნორმის (ნორმების) კონსტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, ცალ–ცალკე წარმოადგინოთ დასაბუთება. თუ სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად იშველიებთ ეროვნულ, საერთაშორისო ან/და სხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას ან/და კანონმდებლობას, აგრეთვე სამეცნიერო ან/და ანალიტიკურ ნაშრომებს, გთხოვთ, გააკეთოთ მკაფიო მითითებები შესაბამის წყაროზე მაგ.: დასახელება, პარაგრაფი, მუხლი, გვერდი და ა.შ.

[7] ონლაინმედიები: არ დავუშვებთ რუსული კანონის მიღებას, ბოლომდე გავუწევთ წინააღმდეგობას https://www.radiotavisupleba.ge/a/32889728.html

[8] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ეკოდიფენსი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (9988/13, *Ecodefence and Others v. Russia*), პარაგრაფი 158, https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-217751

[99] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, კომისია უნგრეთის წინააღმდეგ (C-78/18, *Comission v Hungary*), https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=227569&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=256071

[10] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, შენიშვნები „საკანონმდებლო ინიციატივები საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების თაობაზე ან ე.წ. „უცხოური აგენტების კანონი“ და სხვა მსგავსი კანონმდებლობა და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, 25.07.2023წ, https://www.osce.org/odihr/556074

[11] ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), 2024 წლის 21 მაისის სასწრაფო დასკვნა CDL-PI(2024)013 საქართველოს კანონზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2024)013-e

[12] ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №1/126,129,158, 18 აპრილი, 2002 https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=111 .

სადავო ნორმები პირდაპირ თუ ირიბად ზიანს აყენებს და ლახავს არაერთი მედიაორგანიზაციის, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის (ა(ა)იპ) და საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგრამ ეგზისტენციალური საფრთხის ქვეშ აყენებს მაღალი ეთიკური სტანდარტის საგამოძიებო ჟურნალისტიკას, ასევე, დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მქონე ონლაინგამოცემებს. სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან მოსარჩელეები - მათი საქმიანობის მთავარი მიმართულება ხარისხიანი საგამოძიებო ჟურნალისტიკაა.

ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე, მოსარჩელეები არაერთხელ გახდნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან მუქარისა და თავდასხმის სამიზნეები[13].

კანონის მიღების კვალდაკვალ, ადგილი ჰქონდა მოსარჩელეთა მიმართ, ხელისუფლების მიერ წახალისებული და მართული ფართომასშტაბიანი რეპრესიული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელებას. არაერთხელ ჰქონდა ადგილი მოსარჩელე ორგანიზაციების დაშინების მცდელობას - ვანდალიზმით, მუქარის შემცველი ზარებითა და ახალი რეპრესიების დაანონსებით.

მედია ორგანიზაციებიდან მხოლოდ სტუდია „მონიტორის“ და „მთის ამბების“ სამუშაო ოფისების და მათი ხელმძღვანელების საცხოვრებელი სახლების კედლებზე, სტუდია მონიტორის შემთხვევაში, მისი მთავარი რედაქტორის ავტომობილზეც, შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახავი, მუქარის შემცველი და ძალადობის წამახალისებელი წარწერები და პლაკატები განათავსეს (მაღალი ალბათობით, ხელისუფლების დავალებით). სწორედ მოსარჩელეები მოხვდნენ ე.წ. სამხარაძის შავ სიაში[14], რითაც ისინი კანონის მიღებამდე შერაცხეს „აგენტებად“.

მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ მოცემული საქმის მართებულად განხილვა/გადაწყვეტა დამოკიდებულია არა მხოლოდ სადავო ნორმების სამართლებრივ/თეორიულ ანალიზსა და შეფასებაზე კონსტიტუციის დანაწესებთან მიმართებაში, არამედ, აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე იმ მოვლენების (პოლიტიკური ვითარება, მმართველი პარტიის ქმედებები და მოწოდებები, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება და უმოქმედობა; დაშინება და სხვა. ფართოდ გაანალიზება/შეფასება, რაც წინ უძღოდა სადავო კანონის მიღებას და რაც დღემდე გრძელდება.

სადავო არ არის, რომ სურვილის შემთხვევაში, ხელისუფლებას აქვს რესურსი, ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმა გამოიყენოს მისი ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რა დემოკრატიული მიზნის მიღწევას ემსახურება აღნიშნული ნორმის მიღება, მითუმეტეს, მაშინ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულში ხელისუფლებას ხელს არ შეუშლის.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი თავიდანვე მიღებული იქნა იმისათვის,

[13] https://shorturl.at/lqsqR; https://mtisambebi.ge/news/item/1699; https://shorturl.at/yfdur; https://shorturl.at/JKZyS; https://cpj.org/2024/05/georgian-journalists-threatened-after-covering-foreign-agent-law-protests/

[14] https://shorturl.at/JFKdX

რომ ხელისუფლებამ თავისი ინტერესები გაატაროს, რაც გამოიხატება დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების განადგურების, თავისუფალი სიტყვის ჩახშობის, საზოგადოებრივ აზრზე ტოტალური კონტროლის დამყარების სურვილში, რათა კიდევ 12 წელი დარჩნენ ხელისუფლებაში[15]. არსებული რედაქციით, კანონს გამჭვირვალობასთან არაფერი აქვს საერთო, რაზეც ქვემოთ მოცემულ თავებში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

2. სადავო მუხლების ნორმატიული შინაარსი

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა", „დ" ქვეპუნქტები, მე-4 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები, მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, მე-8 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები, მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

ვინაიდანაც, სადავოდ გამხდარი მუხლები და პუნქტები ერთმანეთთან კავშირშია და ერთობლივად ქმნიან სადავო ნორმატიულ შინაარს, მიზანშეწონილია მათი დაჯგუფება :

1. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა", „დ" ქვეპუნქტები, განსაზღვრავს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებს". კერძოდ, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის სტატუსი ენიჭება მედია ორგანიზაციებს (მაუწყებელი, მასობრივი ინფორმაციის საშუალება ან ონლაინ პლატფორმა) და ა(ა)იპ-ებს (გარდა ისეთი ა(ა)იპ-ებისა, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არის დაფუძნებული, ან არის საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია, სისხლის დაწესებულება) იმის გამო, რომ მათ წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოური ძალისგან აქვთ მიღებული.

2. კანონის მე-4 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები განსაზღვრავს, რომ მედია ორგანიზაციები (მაუწყებელი, მასობრივი ინფორმაციის საშუალება ან ონლაინ პლატფორმა) და ა(ა)იპ-ები (გარდა ისეთი ა(ა)იპ-ებისა, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არის დაფუძნებული, ან არის საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია, სისხლის დაწესებულება), რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა, უნდა დარეგისტრირდნენ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად შესაბამის რეესტრში.

3. კანონის მე-5 მუხლით, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულია, რომ რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის შემდგომ, კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები ვალდებულნი არიან, წარადგინონ საფინანსო

[15] პრემიერ-მინისტის განაცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ სულ მცირე, 12 წელიწადი არცერთი არჩევნების წაგებას არ აპირებენ https://shorturl.at/bZvuY

დეკლარაცია და მიუთითონ ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების, სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ, და ასევე, კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ; აღნიშნული ინფორმაცია კი საჯაროდ იქნება განთავსებული და ხელმისაწვდომი იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე.

4. კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, მე-7 მუხლის პირველი პუნქტით, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით დგინდება უფლებამოსილი პირის მიერ საჭირო ინფორმაციის მოძიების წესი, რომლის თანახმადაც, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოიძიოს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია.

5. კანონის მე-8 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებით დგინდება სახელმწიფო მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც მონიტორინგის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის ინიციატივის საფუძველზეც შეიძლება განხორციელდეს.

6. მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით დგინდება მაღალი ფულადი სანქციები იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ გაითვალისწინებენ კანონის მოთხოვნებს.

7. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია კანონის უკუძალა, რომლითაც სადავო კანონის მოქმედება ვრცელდება 2023 წელზე.

სადავო ნორმები ერთობლიობაში ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებს. ხსენებული დანაწესების თანახმად, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება“. ამასთან, ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.
სადავო ნორმები ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტსაც, რომლის თანახმადაც, გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია.

სადავო ნორმები იწვევს მოსარჩელეთა სტიგმატიზაციას, „მონიტორინგის მექანიზმი” და მისი რეპრესიული ბუნება ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის გაერთიანებას და ნორმალურად საქმიანობას/ფუნქციონირებას.

3. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით დაცულ უფლებასთან მიმართებით

3.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, ასევე, ინფორმაციის გავრცელების უფლება.

„გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას“[16].

გაიმეორა რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ცნობილი განმარტება გამოხატვის თავისუფლების ფარგლების თაობაზე (Handyside v. The United Kingdom), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ გამოხატვის თავისუფლება *„[...]* მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა, ასევე, იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც *[...]*“[17].

გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები გამოხატავს საერთო დამოკიდებულებასა და სულისკვეთებას და მიანიშნებს გამოხატვის თავისუფლების დაცულობის ყველაზე უფრო შორეულ ფარგლებზე. განმარტებები ხაზს უსვამს, რომ საზოგადოებაში თავისუფლად უნდა ცირკულირებდეს განსხვავებული იდეები და შეხედულებები, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც შესაძლოა შემაწუხებელი, გამაოგნებელი და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისათვის, რადგან ამას მოითხოვს დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტოლერანტობა[18].

მე-17 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით დაცული სფერო გულისხმობს, რომ აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია.

3.2. ჩარევა კონსტიტუციით დაცულ სფეროში

[16] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26;

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40;

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის N1/4/1394 გადაწყვეტილება საქმეზე „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

3.2.1 სადავო ნორმების მასტიგმატიზებელი, შეურაცხმყოფელი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ეფექტი

სადავო კანონის მე-2 მუხლის დასახელება, მის პირველ პუნქტთან ერთობლიობით, განსაზღვრავს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის" დეფინიციას. ტერმინი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია" ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავია, რაც დასტურდება მოცემული ტერმინის გრამატიკული/შინაარსობრივი ანალიზითაც. ტერმინი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით აღნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც საზღვარგარეთის/უცხო ქვეყნის ინტერესებს ატარებს, ორგანიზაციას რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებლობა/ინდივიდუალიზმი.

ის, რომ მსგავსი ტერმინი შეურაცხმყოფელია და სტიგმატიზაციას იწვევს, ვენეციის კომისიას და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს არაერთხელ აქვს ასახული დასკვნებში. ვენეციის კომისიამ მკაფიოდ გამოხატა საკუთარი პოზიცია რუსეთის უცხოური აგენტების შესახებ კანონზე: „იმის გათვალისწინებით, რომ ტერმინი „უცხოური აგენტი" გულისხმობს უარყოფით ინტერპრეტაციას, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ კანონის დაუყოვნებლივი ამოქმედება საზოგადოებას ეჭვსა და უნდობლობას გაუჩენს ზოგიერთი არაკომერციული ორგანიზაციის მიმართ, მოახდენს მათ სტიგმატიზაციას, რაც, თავის მხრივ, შემაფერხებელ ზეგავლენას იქონიებს მათ აქტივობებზე[19]."

მსგავსი კანონები სამიზნედ იღებს არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსებას უცხოეთიდან იღებენ და გამჭვირვალობის ან/და „უცხოეთის გავლენასთან" ბრძოლის მოტივით, უწესებს ანგარიშგების მოთხოვნებს. ამ კანონების მოქმედება შედეგად იწვევს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საჯარო სტიგმატიზაციას, მათზე ხელისუფლების უფრო მკაცრ ზედამხედველობას და ანგარიშგების მოთხოვნებისა და სხვა ვალდებულებების დაწესებას, რაც ღირებულ დროსა და უნარებს მოითხოვს და მნიშვნელოვნად აზიანებს ამ ორგანიზაციების საქმიანობას[20].

მსგავსი პოზიცია აქვს „ვენეციის კომისიას" „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონთან მიმართებითაც. კომისია დასკვნაში მიუთითებს, რომ „კანონის მიხედვით, ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც იღებს უცხოურ შემოსავალს, განსაზღვრულია როგორც „უცხოურ გავლენას" დაქვემდებარებული ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ სახსრების მიღება ლოგიკურად სულაც არ ნიშნავს გავლენის არსებობას. უფრო მეტიც, კანონში ორგანიზაციები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად" არაერთხელ არიან მოხსენიებულნი მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური

[19] მუხლი 61, ვენეციის კომისიის მოსაზრება ფედერალურ კანონზე N121-Fz, არაკომერციული ორგანიზაციების („უცხოური აგენტების შესახებ კანონის"), ფედერალურ კანონებზე N18-Fz, და N190-Fz, სისხლის სამართლის კოდექსში ცვილების შეტანის შესახებ რუსეთის ფედერაცია (2014).

[20] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, შენიშვნები „საკანონმდებლო ინიციატივები საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების თაობაზე ან ე.წ. „უცხოური აგენტების კანონი" და სხვა მსგავსი კანონმდებლობა და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, 25.07.2023წ, პარაგრაფები 8-9, https://www.osce.org/odihr/556074

წყაროებიდან იღებენ. ამ მიდგომის ობიექტურ შედეგს ორგანიზაციების სტიგმატიზაცია და მათი იმ ორგანიზაციებისგან განცალკევება წარმოადგენს, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი (ანუ ქართველი) დონორებისგან ფინანსდებიან. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ დაფინანსება გავლენის ტოლფასია, უბრალო იარლიყიც კი საკმარისი იქნება ორგანიზაციის სტიგმატიზაციისა და ყოველგვარი მტკიცებულების საფუძვლის გარეშე მისთვის ძირის გამოთხრისთვის“[21].

სახელდობრ, სტიგმატიზაცისთან დაკავშირებით ვენეციის კომისია იყენებს ECJ-ს მიერ უნგრეთის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში დადგენილ სტანდარტს და აღნიშნავს, რომ საქართველოს სიტუაცია არის მნიშვნელოვნად მსგავსი და ორგანიზაციების „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად“ რეგისტრაცია მხოლოდ დაფინანსების წყაროზე დაყრდნობით არის ამ ორგანიზაციების რეპუტაციის შემლახველი და ქმნის მათ მიმართ უნდობლობის ატმოსფეროს[22].

წარმოდგენილი მოსაზრებების დასაბუთებულობაზე ასევე მიუთითებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 2024 წლის 30 მაისის დასკვნაც, რომელიც სტიგმატიზაციის გამომწვევად განიხილავს სადავო ტერმინს და მიუთითებს იმ პრობლემებზე, წინაღობებზე, რაც ამ კანონით წარმოიქმნება[23].

კონკრეტული ორგანიზაციებისთვის მასტიგმატიზებელი იარლიყის მინიჭებასთან ერთად, სადავო კანონს შემოაქვს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი” და ამ რეესტრში რეგისტრაციის დამამცირებელი პროცედურა, რაც ნეგატიურ ეფექტს უფრო აძლიერებს.

სწორედ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი” იქნება ხელისუფლების მთავარი ბერკეტი, დოკუმენტი, რასაც იგი დაეყრდნობა საზოგადოებაში მოსარჩელეებისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციების დისკრედიტაციისთვის.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სადავო კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტიც, რომლის თანახმადაც, სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს/კრიტერიუმებს ვალდებულია, მიმართოს რეგისტრაციისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ქვეყანაში მოქმედი ერთ-ერთი ის ინსტიტუციაა, რომელიც მოსახლეობაში ჯერ კიდევ განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს. წლების განმავლობაში საჯარო რეესტრს საზოგადოებაში ჩამოუყალიბდა სანდო რეპუტაცია და იგი ასოცირდება უტყუარობასთან, სიმართლესთან.

---

[21] ვენეციის კომისია, 2024 წლის 24 ივნისის დასკვნა https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-geo

[22] ვენეციის კომისია, 2024 წლის 24 ივნისის დასკვნა, პარაგრაფი 71, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-geo

[23] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, 2024 წლის 30 მაისის დასკვნა პარაგრაფები 32, 51, 60

სადავო კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების დებულება ორგანიზაციის ხელმძღვანელს ავალდებულებს, ხელი მოაწეროს წერილობით დოკუმენტს, რომელიც ორგანიზაციას, რომელსაც იგი წარმოადგენს, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად" აკვალიფიცირებს. უფრო მარტივად რომ განვმარტოთ, ორგანიზაციის ხელმძღვანელი საკუთარი „მოთხოვნის", „ნების" საფუძველზე რეგისტრირდება რეესტრში.

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა" იარლიყის ქვეშ წარმოდგენილი იქნებიან მოსარჩელეები და ყველა ის ქართული (მედია) ორგანიზაცია, რომლებიც ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას და მოქალაქეთა დახმარებას ცდილობენ; ამისათვის რესურსებს მოიძიებენ საზღვარგარეთ თუ საქართველოში ბაზირებული დონორი ორგანიზაციებისგან, რომელთა მიზანიც არის საქართველოს მოსახლეობის ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერა, ადამიანის უფლებებისა და მედიის თავისუფლების დაცვა, საზოგადოებაში უმცირესობების ინტეგრაცია და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება.

3.2.2 მედია ორგანიზაციები, „მონიტორინგის მექანიზმი" და მისი რეპრესიული ბუნება

მონიტორინგის მექანიზმი სენსიტიურია მედია ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით კი საგამოძიებო მედიისთვის.

საგამოძიებო ჟურნალისტიკა ერთ-ერთი ყველაზე რთული მიმართულება/საქმიანობაა. შეიძლება მის განმარტებაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს, მაგრამ ყველა პროფესიონალი თანხმდება იმაზე, რომ ესაა სისტემური, სიღრმისეული და ორიგინალური კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს დაფარული ფაქტებისა და ამბების გამოაშკარავებას.

მუშაობის პროცესში რეპორტიორების გუნდი იკვლევს დიდი მოცულობის მასალას, მათ შორის, საჯარო დოკუმენტებს, სხვადასხვა სახის არქივებს, ოფიციალურ მიმოწერას და ა.შ. საგამოძიებო ჟურნალისტიკა ვერ იარსებებდა წყაროებთან მუშაობის გარეშე, წყარო კი მედიასთან, ხშირ შემთხვევაში, ანონიმურობის გარანტიით, კონფიდენციალობის პირობის დაცვით თანამშრომლობს.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის მნიშვნელობისა და საჭიროების ნათელი მაგალითია ყველაზე ცნობილი გამოძიება ჟურნალისტიკის ისტორიაში - ე.წ. ვოთერგეიითის საქმე, რომელიც 1970-იან წლებში გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნდა. გამოძიებამ გამოავლინა, როგორ ბოროტად იყენებდა პრეზიდენტი ნიქსონი თავის ძალაუფლებას ოპოზიციის წინააღმდეგ. გამოძიების შედეგად პრეზიდენტი ნიქსონი გადადგა[24].

ყურადღებას იმსახურებს მოსარჩელეების მიერ მომზადებული საგამოძიებო ფილმები, მაგალითად, „რაჭის ტყეების ოკუპაცია"[25]. საქართველოს მთავრობამ სანქცირებული რუსი ოლიგარქის ვლადიმერ ევტუშენკოვის პარტნიორს, დავით ხიდაშელს, მოსახლეობისგან

[24] https://en.wikipedia.org/wiki/Watergate_scandal
[25] https://mtisambebi.ge/news/item/1631

ფარულად, 49 წლით გადასცა 104 712 ჰექტარი ტყე რაჭასა და ქვემო სვანეთში. „მთის ამბების“ მიერ მომზადებულმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ გამოააშკარავა მრავალი კანონდარღვევა, მათ შორის, თანამდებობის პირების მხრიდან სამსახურებრივი სიყალბე, პრობლემები უსაფრთხოების კონტექსტში და ა.შ. საგამოძიებო ფილმის გამოქვეყნებას რაჭის მოსახლეობის და სათემო ორგანიზაციების აქციები მოჰყვა, რის შემდეგაც მთავრობამ ხელშეკრულება გააუქმა.

სტუდია „მონიტორმა“ ერთ-ერთ საგამოძიებო ფილმში[26] მაყურებელს მოუთხრო პარამკლავჭიდელთა ნაკრების პრობლემებზე, ჩემპიონატზე წასასვლელად რა დაბრკოლებების გადალახვა უწევდა მსოფლიოში ნომერ პირველ გუნდს; როგორ ერიცხებოდა მთავარ მწვრთნელს ასობით ათასი ლარი და რატომ არ ინტერესდებოდა სამინისტრო. გამოძიების ეთერში გასვლის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში პირველად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შშმ სპორტსმენებს სრულად დაუფინანსა ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ხარჯები, გაუგზავნა სპორტული დანამატები, ვიტამინები და სხვა საჭირო ინვენტარი, დაუნიშნა ექიმი. ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა პარამკლავჭიდელებმა 101 მედალი - 45 ოქრო, 48 ვერცხლი, 8 ბრინჯაო მოიპოვეს და ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

სადავო კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი ანუ საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა“.

სადავო მუხლი არ აზუსტებს, რა ქმედებებში შეიძლება გამოიხატებოდეს მონიტორინგი, გარდა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა; თუმცა, მონიტორინგი შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციებში ინსპექციების ჩატარებას და მათ საქმიანობაში სხვა ფორმით ჩარევასაც (მასალების ამოღებას და ა.შ.). ამასთან, მონიტორინგის დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს არამხოლოდ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება, ასევე - ანონიმური პირის განცხადება „სათანადო მინიშნების“ ფორმით.

ინსპექტირება ყოველთვის მნიშვნელოვნად აფერხებს სამუშაო პროცესს, მითუმეტეს მაშინ, თუ მას თან სდევს ორგანიზაციის საქმიანობაში სხვადასხვა ფორმით ჩარევა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეები მაქსიმალურად მცირე ადამიანური და ტექნიკური რესურსით ახორციელებენ თავიან საქმიანობას; შესაბამისად, მცირედმა ჩარევამაც კი შესაძლებელია საქმიანობის ხანგრძლივი დროით შეჩერება/პარალიზება გამოიწვიოს.

მონიტორინგის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად (ან, მესამე პირის მიერ განცხადების საფუძველზე მონიტორინგის განხორციელების პროცესში), მონიტორინგის განმახორციელებელ პირს არ მოეთხოვება დარღვევის სიმძიმის ან/და მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობის და არსის გათვალისწინება, ან მისი მოთხოვნის ფაქტიდან გამომდინარე ნეგატიური ეფექტების შეფასება. ასევე, წარმოიშობა უფლებამოსილების ბოროტად

[26] https://www.youtube.com/watch?v=rhrOyQ3uulY&t=4s

გამოყენების რისკები. კერძოდ, კანონი არ უშვებს ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმას მართლზომიერი საფუძვლით. მეტიც, სადავო ნორმები საკუთარ თავში იმ ინფორმაციის წარუდგენლობასაც კი გამორიცხავს, რომელიც, შესაძლოა, ადრესატს საერთოდ არც კი ჰქონდეს. კანონის ჩანაწერი შინაარსობრივად მარტივი და პრიმიტიულია - „უფლებამოსილი პირმა ინფორმაცია მოგთხოვა, დაუყოვნებლივ გადაეცი“. უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საკითხის ასე დარეგულირება, სადავო მუხლებს მეტად რეპრესიულს ხდის.

სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა 6 თვეში ერთხელ, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არ ვრცელდება მოსარჩელე ორგანიზაციებში დასაქმებულ ან მასთან დაკავშირებულ პირებზე/პირებისგან ინფორმაციის მოთხოვნის მექანიზმის გამოყენებაზე, სხვა ორგანიზაციაში მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში. სადავო კანონი იძლევა შესაძლებლობას, ერთი ორგანიზაციის ან/და ერთი ადამიანის მიმართ მონიტორინგის მექანიზმი არაერთხელ იქნას გამოყენებული 6 თვის განმავლობაში.

მონიტორინგის მსგავსი მექანიზმი ა(ა)იპ-ებისა და მედია ორგანიზაციების თავისუფლებას, მიიღონ უცხოური დაფინანსება, სახელმწიფო კონტროლს უქვემდებარებს.

ODIHR-ის დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაუგეგმავ ინსპექციებს „მსუსხავი ეფექტი“ აქვს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თავისუფალ საქმიანობაზე, შეიძლება იქცეს ხელისუფლებისთვის პოტენციური დაშინების და შევიწროების ინსტრუმენტად და გამოყენებულ იქნეს იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებენ[27]. რუსეთის შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ ინსპექციის უფლებამოსილების გადამეტებულად გამოყენებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევა არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული ამ ორგანიზაციების კონტროლის მიზნით[28].

ამავე კანონის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად, სამინისტროს უფლებამოსილ პირს შეუძლია „კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია”.

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მიღმა, სადავო ნორმები არ ადგენს

[27] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, შენიშვნები „საკანონმდებლო ინიციატივები საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების თაობაზე ან ე.წ. „უცხოური აგენტების კანონი“ და სხვა მსგავსი კანონმდებლობა და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, 25.07.2023წ, პარაგრაფები 107-109, https://www.osce.org/odihr/556074

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ეკოდიფენსი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (9988/13, *Ecodefence and Others v. Russia*), პარაგრაფი 158, https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-217751

არანაირ შინაარსობრივ შეზღუდვას მისაღები ინფორმაციის კუთხით. შესაბამისად, სამინისტროს უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს როგორც პროფესიული საიდუმლოება, ასევე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „პროფესიული საიდუმლოება არის ყველაზე დახურული ინფორმაცია და მისი მიღება ნებისმიერი მსურველი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის შეუძლებელია. *[...]* ეს ინფორმაცია ავტომატურად გასაიდუმლოებულია და კონსტიტუციით დადგენილია მისი განსაიდუმლოების წესი და კონკრეტული შემთხვევები. განსაიდუმლოება შესაძლებელია, თუ არსებობს თავად იმ პირის თანხმობა, ვისაც ინფორმაცია შეეხება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სხვა შემთხვევები კანონით უნდა იყოს დადგენილი და აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“[29].

როგორც მედიისგან, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილების განსაზღვრას არსებითად ნეგატიური ეფექტი ექნება მამხილებლების და ინფორმაციის წყაროების მიერ მედიის და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ გამოხატულ ნდობაზე, რაც, დამატებით, გამოიწვევს „საზოგადოებრივი დარაჯის” ფუნქციის განხორციელების შეზღუდვას.

მოსარჩელეებს მნიშვნელოვნად შეეზღუდებათ საგამოძიებო სიუჟეტების მომზადების შესაძლებლობა, ხშირად კი ეს საერთოდ შეუძლებელი იქნება, განსაკუთრებით პოლიტიკურად სენსიტიურ თემებთან დაკავშირებით.

3.2.3 ჯარიმები და მოსარჩელეთა ფაქტობრივი ლიკვიდაცია

სადავო კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ორგანიზაცია, რომელიც უარს იტყვის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ რეესტრში რეგისტრაციაზე, დაჯარიმდება 25000 ლარით იძულებითი რეგისტრაციის შემდეგ. თუ ორგანიზაცია „ნებაყოფლობით” არ წარადგენს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადს”, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით (სადავო კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი), ხოლო საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ამგვარი განაცხადის საკუთარი ნებით წარუდგენლობა, ყოველ თვეს, დამატებით გამოიწვევს დაჯარიმებას 20000 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია ისიც, რომ უფლებამოსილი პირისთვის, მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა იწვევს

[29] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ , II-12.“

დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსარჩელეები დაფინანსებას იღებენ პროექტების სახით და ასეთი სახსრები პრაქტიკულად მათ ძირითად შემოსავალს წარმოადგენს. საერთაშორისო დონორებისგან მიღებული რესურსების გამოყენება მოსარჩელეებს მხოლოდ პროექტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით შეუძლიათ. მეტიც, საპროექტო/საგრანტო ხელშეკრულებებით იკრძალება მიღებული ფინანსური სახსრების საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომისთვის, მათ შორის ჯარიმის გადასახდელად გამოყენება.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის, ხელისუფლების პირველი პირების ან სხვა მაღალჩინოსნების შესაძლო დანაშაულებრივ საქმიანობაში მხილების გამო, მოსარჩელეებს ისედაც არ აქვთ სარეკლამო შემოსავალი. პოტენციური დამკვეთები თავს არიდებენ ასეთ მედიებთან თანამშრომლობას, ხელისუფლებისგან მოსალოდნელი წნეხის შიშით.

ის, რომ ჯარიმების ოდენობა და ინტენსივობა არ არის პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ნათლად განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ეკოდიფენსი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Ecodefence and Others v. Russia*).

რუსეთის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ამ ჯარიმების ოდენობების გადახდა, ზოგიერთი ორგანიზაციისთვის შეუძლებელი იყო: „ზოგიერთი მათგანი იძულებული იყო შეემცირებინა საქმიანობა ან გაუქმებულიყო, რადგან ვერ იხდიდნენ ჯარიმებს. სასამართლოები, ჯარიმების დაკისრების დროს, არ ითვალისწინებდნენ ამ ჯარიმის გავლენას ორგანიზაციაზე და მისი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობაზე. ამგვარად, ამ სამართალდარღვევების მარეგულირებელი ხასიათის, ჯარიმების მაღალი ოდენობის და მათი დაკისრების სიხშირის, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მოუხდათ ბიუჯეტის შემცირება ამ შეზღუდვების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უცხოელი აგენტების კანონით დადგენილი ჯარიმები არ იყო ლეგიტიმური მიზნის პროპორციული[30].

დაჯარიმების შემთხვევაში, მოსარჩელეები ვერ შეძლებენ დაკისრებული ფინანსური სახდელის გადახდას, შესაბამისი ფინანსების არქონის გამო, ან არსებული ფინანსების მიზნობრიობიდან გამომდინარე.

ჯარიმების მიმართ გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი წესი. კერძოდ, კოდექსის 291-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდისთვის დადგენილი 30 დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლა არის იძულებითი აღსრულების წარმოების დაწყების საფუძველი, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მთლიანობაში, საქმე მოკლე დროში მიექცევა აღსასრულებლად („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის IX და XI თავები), რასაც შედეგად

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ეკოდიფენსი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (9988/13, Ecodefence and Others v. Russia), პარაგრაფი 158, https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-217751

შეიძლება ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერება, მასში დროებითი მმართველის შეყვანა, საბოლოოდ კი ლიკვიდაცია/რეგისტრაცია და გაუქმებაც მოჰყვეს.

მოსარჩელეები, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციები, ნებაყოფლობით არ აპირებენ სადავო კანონით განსაზღვრული, შეურაცხმყოფელი, მასტიგმატიზებელი და მადისკრედიტებელი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ სტატუსის მიღებას და იმ რესპონდენტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომლებმაც კონფიდენციალობის დაცვით მიაწოდეს საგამოძიებო სიუჟეტებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მოსარჩელეთა მსგავსი ქმედება აუცილებლად გამოიწვევს მათ დაჯარიმებას, რაც თავის მხრივ, აუცილებლად გამოიწვევს ამ ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვას ან შეწყვეტას.

ევროკავშირში დამოუკიდებელი მასმედიის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, 2022 წლის დეკემბერში ევროკომისიამ მიიღო მედიის თავისუფლების ევროპული აქტი[31]. შიდა ბაზრის საკითხებში ევროკავშირის კომისარმა - ტიერი ბრეტონმა განაცხადა: „ევროკავშირი არის მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიული ერთიანი ბაზარი. მედია კომპანიები სასიცოცხლო როლს ასრულებენ. მათ პრობლემები ექმნებათ შემოსავლების შემცირებით, მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის კუთხით არსებული საფრთხეებით, დიდი ონლაინ პლატფორმების განვითარებით და სხვადასხვა ნაციონალური წესის არაერთგვაროვნებით. მედიის თავისუფლების ევროპული აქტი უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ევროკავშირის დონეზე, რათა გარანტირებული იყოს ხმების სიმრავლე და რომ მედიას შეეძლოს საქმიანობა ჩარევის გარეშე, იქნება ეს პირადი, თუ სახელმწიფო ჩარევა. ახალი ევროპული მეთვალყურე ხელს შეუწყობს მედიის თავისუფლების ახალი წესების ეფექტიან გამოყენებას და დააკვირდება მედიის კონცენტრაციას, რათა არ შეფერხდეს პლურალიზმი.“

3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაცულ სფეროში ჩარევასთან დაკავშირებით

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგულისხმება გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიოპროგრამები, ვიდეო და კინოდოკუმენტალისტიკა, ბიულეტენები, 500-ზე მეტი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნები და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემები, თუ ისინი განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვის.

აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამიმდინარე ნათელია, რომ მოსარჩელეები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიეკუთვნებიან.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სათანადო ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ინფორმირებულობის დონე, თითოეული ადამიანის მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული უფლებით ეფექტიანი სარგებლობა და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების დემოკრატიული განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების

[31] https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_5504

თავისუფლებაში ჩაურევლობა არა მხოლოდ მათი მესაკუთრეების საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული უფლების ნაწილია, არამედ განეკუთვნება საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესს[32].

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებაში მოიაზრება მათი ინსტიტუციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, სახელმწიფოსაგან მათი თავისუფლება იმ მნიშვნელოვანი როლის განხორციელებისას, რომელიც მედიას ეკისრება ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება იცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითად უფლებასა და შესაძლებლობას, **<u>იფუნქციონირონ მთავრობის კონტროლის, შეზღუდვებისა და ცენზურის გარეშე, დროულად მოიძიონ და მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია და იდეები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამდებობის პირების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.</u>** კონსტიტუციის დასახელებული ნორმა ადგენს წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა კონსტიტუციური საჯარო წესრიგით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეასრულონ თავიანთი ფუნქცია საჯარო კომუნიკაციის პროცესში - განახორციელონ „საზოგადოებრივი დარაჯის როლი“, ხელი შეუწყონ განსხვავებული იდეების ცირკულაციას, საზოგადოებრივი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანას და მათზე საჯარო დისკუსიებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, უწინარესად, გულისხმობს სწორედ მათ ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ თავისუფლებას, მათ შესაძლებლობას, გარე ჩარევისაგან დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ყველა შესაბამის საკითხზე, რაც კი მათ საქმიანობას შეეხება, დაწყებული მასმედიის საშუალების დაფუძნებიდან და მისი შიდა ორგანიზაციული საკითხებიდან თვითრეგულაციის ჩათვლით, დამთავრებული ინფორმაციის მოპოვებითა და გავრცელებით[33].
სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სამართლებრივი წესრიგი, რომელშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაცული იქნებიან **იმგვარი ვალდებულებების შესრულებისგან, რომლებიც დაუსაბუთებლად შეზღუდავენ მათ მიერ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობას და უარყოფით გავლენას მოახდენენ მათ მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებებით სრულყოფილ სარგებლობაზე**. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგულაცია, რომელიც აფერხებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებს, ხოლო იმისათვის, რათა მოქმედებაში მოვიდეს

[32] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-73

[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18

კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება, აუცილებელია, რომ სადავო ნორმები ქმნიდეს დაბრკოლებებს უშუალოდ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებისათვის[34].

„გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია. სახელმწიფო ვერ იქნება წარმატებული, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის გარეშე, რომლის მთავარ ფუნქციას საზოგადოების ინფორმირება, მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის ხელშეწყობა წარმოადგენს. სწორედ გამოხატვის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის (საზოგადოების) თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ხარისხს.[35]

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა ნათლად ასახავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას. სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება მცირედითაც შეზღუდოს ეს უფლება გაუმართლებლად. სადავო ნორმათა ასეთი განუსაზღვრელობა არა მხოლოდ „მსუსხავი ეფექტის“ მატარებელია მედიის გამოხატვის თავისუფლებაზე, არამედ, გაუმართლებლად ერევა ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებაში.

3.4. შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არარსებობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ამრიგად, ნათელია, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შესაძლებელია, დაექვემდებაროს შეზღუდვას საქართველოს კონსტიტუციაში მოხსენიებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამავე მიზნების მიღწევის თანაზომიერი საშუალებების გამოყენებით[36].

კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონის ერთადერთი მიზანი „გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა”. არც პირდაპირ და არც ირიბად, განმარტებითი ბარათი არ მიუთითებს არცერთ სხვა ლეგიტიმურ ინტერესზე. ასევე, არსადაა მითითებული და განმარტებული,

---

[34] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვალის გადაწყვეტილება „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი საღინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N1/1/1537;

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.6;

[36] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7

„გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად" რატომ არ იყო საკმარისი მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ნებისმიერი დასაშვები შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას ჩარევისთვის. თუ ნორმის მიზანი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა, რატომ არ მოიცავს კანონი სხვა სუბიექტებს, რომლებიც ასევე იღებენ დაფინანსებას უცხოეთიდან, მათ შორის, იმ სუბიექტებს, რომლებსაც, მოსარჩელეებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური ძალაუფლება გააჩნიათ საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე ზემოქმედებისთვის (ბიზნესმენები, დიდი კომპანიები და ა.შ). ასევე, არ არის იდენტიფიცირებული ობიექტური კრიტერიუმები ლოგიკური კავშირი კრიტერიუმებსა და შეზღუდვის მიზანს შორის. საერთოდ არაა დაცული პროპორციულობა „დაცულ სიკეთესა" და პოტენციურ ზიანს შორის.

სადავო ნორმები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის" სტატუსის მინიჭების ერთადერთ კრიტერიუმად, კალენდარული წლის განმავლობაში მთლიანი/მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის მიღებას განსაზღვრავს.

ვენეციის კომისია მართებულად უსვამს ხაზს, რომ ნებისმიერი უცხოური დაფინანსება ლოგიკურად არ გულისხმობს დაფინანსების მიმღების „უცხოური გავლენის" ქვეშ ყოფნას და არ არის საკმარისი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მასმედიის წინააღმდეგ შემზღუდველი ღონისძიებების გასამართლებლად, მით უმეტეს, როდესაც ამგვარ დაფინანსებას ის საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ, რომელთა წევრიც საქართველოა ან რომლებშიც სურს მას გაერთიანება[37].

მხოლოდ გამჭვირვალობის აუცილებლობაზე მითითებით, კანონი ვერ იქნება საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით გათვალისწინებული გაერთიანების თავისუფლების მოთხოვნასთან შესაბამისობაში.

ძირითად უფლებაში, მათ შორის, ზოგად პიროვნულ უფლებაში, ჩარევის ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება სხვა ძირითადი უფლების, მითუმეტეს, ისეთ ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები კონსტიტუციით ამომწურავად არის განმარტებული, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ამგვარ ჩარევას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და წარმოადგენს არაკონსტიტუციურ და გაუმართლებელ ჩარევას კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ძირითად უფლებაში.

4. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის 1-

[37] ვენეციის კომისიის დასკვნა, პუნქტი 63, 72-74

ელი პუნქტით დაცულ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით

4.1. კონსტიტუციით დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტით, გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია.
გაერთიანების თავისუფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა - ის უზრუნველყოფს დემოკრატიული საზოგადოების და პოლიტიკური აქტიურობის ჩამოყალიბებას და განვითარებას. აღნიშნულს ყოველთვის ნათლად აცნობიერებდნენ საქართველოში და დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, ამ უფლებას ყოველთვის ასახავდნენ ქვეყნის მთავარ კანონში.

საქართველოში გაერთიანების თავისუფლება აღიარებულ იქნა 1921 წლის კონსტიტუციის 35-ე მუხლით. ძირითადი ნორმის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები უფლებამოსილნი იყვნენ, მთავრობის წინასწარი ნებართვის გარეშე შეექმნათ პროფესიული და სხვა ხასიათის კავშირები, თუ მათი შექმნის მიზანი არ იყო კანონით აკრძალული ქმედება. კავშირების გაუქმების უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა იყო.

1978 წლის კონსტიტუციაში, 1990 წელს შეტანილი ცვლილებებით აღიარებულ იქნა გაერთიანების თავისუფლების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების შექმნის ძირითადი უფლება. მაგალითად, საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის (1990 წლის რედაქციით) 49-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს სსრ მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, მონაწილეობდნენ მასობრივ მოძრაობებში, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მათი მრავალგვარი ინტერესების განვითარებას. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის”[38].

მოცემულ შემთხვევაში პერსონალურად დაცულ სფეროს წარმოადგენენ მოსარჩელეები, როგორც მედიაორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაცია. საგნობრივად დაცულ სფეროს კი წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლება.

4.2. ჩარევა კონსტიტუციით დაცულ სფეროში

4.2.1 სადავო ნორმების მასტიგმატიზებელი, შეურაცხმყოფელი, საქმიანი რეპუტაციის შემლახავი და რეპრესიული დანაწესი, შეუთავსებლობა საერთაშორისო კანონმდებლობასთან და დანაწესებთან

[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის № 1/3/113 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან შარაშენიძე, დავით წიკლაური და სხვები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

გაერთიანების თავისუფლებას ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად განიხილავს საერთაშორისო კანონმდებლობა. ვენეციის კომისიის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არაერთ დასკვნაში იმსჯელეს აღნიშნულ უფლებაზე და ამ უფლების მიმართებაზე შიდა კანონმდებლობასთან.

ვენეციის კომისიის განმარტებით, გაერთიანების თავისუფლება არის ფუნდამენტური უფლება, რომელიც „აუცილებელი წინაპირობაა სხვა ფუნდამენტური თავისუფლებებისათვის“ და „მჭიდროდ არის გადაჯაჭვული გამოხატვის თავისუფლებასთან, შეკრებასთან, ისევე როგორც ადამიანის სხვა უფლებებთან […]“ ”[39].

საქართველო არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოა. საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, გაეროსა და ეუთოს წევრობა, ქვეყნებს ავალდებულებს, გაიზიაროს ორგანიზაციის რეკომენდაციები და მოახდინონ შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზება. საქართველო ეუთოს წევრი ქვეყანა 1992 წლის 24 მარტს გახდა, ხოლო გაეროს 1992 წლის 31 ივლისს შეუერთდა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლების უფლება“ და „არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად“. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 22(1) მუხლის თანახმად, „თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან ასოციაციის უფლება, მათ შორის, უფლება თავისი ინტერესების დასაცავად შექმნას და შევიდეს პროფესიულ კავშირებში“.

გაეროს გენერალურ ასამბლეას არაერთ მოხსენებაში აღუნიშნავს, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ასოციაციების შექმნას, ფუნქციონირებას და დაფინანსებას, ხშირად გაუგებარია ან ზედმეტად შემზღუდავი და, შესაბამისად, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა 2012 წლის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „სხვადასხვა ქვეყანაში ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები კიდევ უფრო ზღუდავს თავისუფლად ასოცირების უფლებას“[40].

გაერო „მკაცრად“ მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ შექმნან სამართლებრივი ჩარჩო, რათა უზრუნველყონ იმ უფლებადამცველების მიერ გაერთიანების თავისუფლების თავისუფლად გამოყენება, რომლებშიც ასევე მოიაზრება არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის, წევრობის და ეფექტურად მონაწილეობის უფლება, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. ასეთი კანონები უნდა იყოს ნათელი, ზუსტი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მკაცრ შესაბამისობაში

[39] ვენეციის კომისია „ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან არასამთავრობო ორგანიზაციების თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის თავსებადობის შეფასება”, CDLAD (2011)035, პარაგრაფი 45; და ვენეციის კომისია და ODIHR, „ყირგიზეთის რესპუბლიკის არაკომერციული ორგანიზაციებისშესახებ კანონპროექტის და სხვა საკანონმდებლო აქტების ერთობლივი შუალედური დასკვნა”, CDL-AD(2013)030, პარაგრაფი 14;

[40] A/67/292, 10 აგვისტო 2012, პარაგრაფი 40, https://documents.un.org/doc/undoc/gen/n12/459/42/pdf/n1245942.pdf?token=J05R4WBuscBq1Gs6XP&fe=true

მოყვანილი. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობას გაეროს წესდებასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მოუწოდებს სახელმწიფოებს „როგორც კანონის მეშვეობით, ასევე, რეალურად შექმნან და შეინარჩუნონ უსაფრთხო და შესაძლებლობის მომცემი გარემო, რომლითაც სამოქალაქო საზოგადოება შეძლებს შეფერხებების და საფრთხის გარეშე მოქმედებას[41].

როგორც გაეროს უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ „ღრმა შედეგების მქონე შეზღუდვებს ორგანიზაციების შესაძლებლობებზე, განახორციელონ თავიანთი საქმიანობა ჩარევის გარეშე" ან ძირს უთხრიან „ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელ ფუნქციონირებას", უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს[42].

მსგავსი მიდგომა აქვს ეუთოსაც. კოპენჰაგენში გამართულ „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე (CSCE)", წევრმა სახელმწიფოებმა დაადასტურეს, რომ „გაერთიანების უფლება გარანტირებული უნდა იყოს" და მათ აიღეს ვალდებულება „უზრუნველყონ, რომ ყველას ექნება გაერთიანების უფლების გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის შექმნან, შეუერთდნენ და ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის პროფკავშირების და ადამიანის უფლებების მონიტორინგის ჯგუფებს"[43].

ეუთოს წევრი სახელმწიფოების მიდგომის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებად აღიარებენ ორგანიზაციებს, რომლებიც „ამგვარ ორგანიზაციებად თვლიან თავს"[44].

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონი რომ არღვევს ზოგადად საერთაშორისო კანონმდებლობას, ნათლად განმარტა თავის გადაწყვეტილებაში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გასაჩივრებული მსგავსი კანონის განხილვისას, რომელიც ადრე უნგრეთმა მიიღო (საქმეზე - *კომისია უნგრეთის წინააღმდეგ*, ივნისი, 2020)[45].

სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

---

[41] A/HRC/RES/22/6, მიღებული 2013 წლის 12 აპრილს, პარაგრაფი 2, https://undocs.org/Home/Mobile?FinalSymbol=A%2FHRC%2FRES%2F22%2F6&Language=E&DeviceType=Desktop&LangRequested=False და A/HRC/RES/24/21, მიღებული 2013 წლის 09 ოქტომბერი, პარაგრაფი 2, https://digitallibrary.un.org/record/762467?ln=fr&v=pdf .

[42] A/64/226, 4 აგვისტო 2009, პარაგრაფები 53 და 54 https://undocs.org/Home/Mobile?FinalSymbol=A%2F64%2F226&Language=E&DeviceType=Desktop&LangRequested=False

[43] კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფები 9.3 და 10.3, https://www.osce.org/odihr/elections/14304

[44] მოსკოვი 1991, პარაგრაფი 43, https://www.osce.org/odihr/elections/14310

[45] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, კომისია უნგრეთის წინააღმდეგ (C-78/18, *Comission v Hungary*), https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=227569&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=256071

1. „გამჭვირვალობის შესახებ კანონის 1-ელი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული რეგისტრაციის, დეკლარირებისა და გამოქვეყნების ვალდებულება, რომელიც ვრცელდება „იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც დაფინანსებას იღებენ უცხოეთიდან“, ამავე კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმები, წარმოადგენს კაპიტალის თავისუფალი ბრუნვის შეზღუდვას, რაც აკრძალულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 63-ე მუხლით“ (იხ. პუნქტი 65);

2. „გაერთიანებების დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნისა და მისი ლეგიტიმურობის მიუხედავად, არ შეიძლება გამართლდეს წევრი სახელმწიფოს ისეთი კანონი, რომელიც ეფუძნება პრინციპულ პრეზუმფციას და რომელიც განურჩევლად, ნებისმიერ ფინანსურ დახმარებას, რომელსაც გასცემს წევრი სახელმწიფო ან მესამე ქვეყანაში მოქმედი კერძო ან იურიდიული პირი, და ნებისმიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომელიც იღებს ასეთ ფინანსურ დახმარებას, პასუხისმგებლობას აკისრებს წევრი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისთვის საფრთხის შექმნისთვის. ასევე, დაუშვებელია წევრი სახელმწიფოს ინსტიტუტების თავისუფალი ფუნქციონირების პროცესში ჩარევა“ (იხ. პუნქტი 86);

3. „როგორც ჩანს, უნგრეთის გამჭვირვალობის შესახებ კანონი არ ეფუძნება არსებულ, რეალურ საფრთხეს, არამედ ვარაუდის საფუძველზეა და განურჩევლად მიიჩნევს, რომ ფინანსური დახმარება, რომელიც მიიღება სხვა წევრი სახელმწიფოს ან მესამე ქვეყნების მხრიდან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები რომლებიც იღებენ ასეთ ფინანსურ დახმარებას პასუხისმგებელი არიან მომავალ საფრთხეზე“ (იხ პუნქტი 93);

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო აკეთებს დასკვნას, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შეთანხმების 63-ე მუხლის დარღვევასთან ერთად, „გამჭვირვალობის შესახებ კანონის დებულებების დამკვიდრებით, რომელიც რეგისტრაციის, დეკლარირებისა და გამოქვეყნების ვალდებულებას აკისრებს გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად იღებენ დაფინანსებას საზღვარგარეთიდან და ეს დაფინანსება სცდება გარკვეულ ზღვარს, და დებულებები, რომლებიც გულისხმობს ჯარიმების დაკისრებას იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არ შეესაბამებიან აღნიშნულ ვალდებულებებს, უნგრეთმა შეიმუშავა დისკრიმინაციული და დაუსაბუთებელი შეზღუდვები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის უცხოური დაფინანსების თაობაზე“. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ დარღვეულია ევროკავშირის ძირითადი უფლებების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება და გაერთიანების თავისუფლების უფლება (ქარტიის მე-7, მე-8 და მე-12 მუხლები) (იხ. პუნქტი 142).

როგორც განხილულიდან ჩანს, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს: უხეშად ლახავს ევროპული კონვენციით და გაეროს პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პაქტით დაცული გაერთიანების თავისუფლების უფლებას, აწესებს არაპროპორციულ ვალდებულებებს, რომლებიც არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნების მიღწევას და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროკავშირის

არცერთ ქვეყანაში არ მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებს „უცხოური აგენტის" სტატუსს ანიჭებს.

4.2.2 საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაცულ სფეროში ჩარევასთან დაკავშირებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს ნამსჯელი გაერთიანების თავისუფლების მნიშვნელობასა და როლზე.

ადამიანი, თავისი არსით, არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ სოციალური არსებაცაა, რომლის შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. ადამიანის თავისუფლება არ არის თავისუფლება საზოგადოებისაგან, ეს არის თავისუფლება საზოგადოებაში, სადაც არსებობს და გადაიკვეთება მრავალი თანხვედრი, თუ ურთიერთსაპირისპირო ინტერესი. გაერთიანების თავისუფლებას დიდი დატვირთვა ენიჭება არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლების გარანტირების, არამედ დემოკრატიული გაერთიანების თავისუფლებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის ინტეგრირებისა და მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბებისათვის[46].

კონსტიტუციის 22-ე მუხლი იცავს კოლექტიური გაერთიანების თავისუფლებასაც. მათ შორის, ისეთი კოლექტიური გაერთიანებების, რომლებიც პირდაპირ არ ექცევიან კონსტიტუციის სხვა უფლებებით დაცულ სფეროში, რაც ნათლად იკითხება საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაში.

გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად. დაცულია საზოგადოებრივი ჯგუფების თავისუფლად ჩამოყალიბების, თავისუფალი ასოციაციის პრინციპი, რაც, ტოტალიტარული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი იძულებითი გაერთიანებების, თუნდაც მისი მონაწილეების დიდი ენთუზიაზმის ფონზე, საპირისპირო მოვლენაა[47].

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი „მოქმედებს, როდესაც სახეზეა: ა) პირთა ერთობა; ბ) პირთა ერთობა შექმნილია ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად; გ) პირთა ერთობა ჩამოყალიბებულია ხანგრძლივი ვადით; დ) პირთა ერთობას აქვს საერთო მიზანი და ე) პირთა ერთობაში ნების ფორმირებას აქვს ორგანიზებული სახე. სწორედ ეს ნიშნები ერთობლივად ან რომელიმე მათგანი ცალკე აღებული განასხვავებს გაერთიანებას პირთა სხვა ერთობებისაგან, როგორიცაა შეკრებები, ობიექტურ თუ ბუნებრივ საფუძველზე დამყარებული ერთობები და ა.შ."[48]

---

[46] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის N2/2/439 გადაწყვეტილება II, პუნქტი 2

[47] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის № 2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-2.

[48] იქვე. II-12.

საზოგადოებრივი გაერთიანება პირთა ნებაყოფლობითი კავშირია, რომელთაც აერთიანებთ გარკვეული იდეები და მიზნები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ გაერთიანება არ არის პირთა უბრალო ერთობა – ეს არის პირთა სუბიექტური მისწრაფებებით განპირობებული ერთობა საერთო იდეებისა და მიზნების გარშემო [49].

გაერთიანების თავისუფლებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის ინტეგრირებისა და მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბებაში[50].

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს ორგანიზაციული (კოლექტიური) ფორმით გაერთიანების უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მის როლზე საზოგადოებისთვის და, ზოგადად, სახელმწიფოებრიობისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი მიდგომა სრულად ასახავს ქართული ერის და სახელმწიფოებრიობის ლტოლვას და ტრადიციებს ორგანიზაციული (კოლექტიური) გაერთიანების მიმართ. სწორედ მსგავსმა ორგანიზაციულმა გაერთიანებებმა შეასრულეს უმნიშვნელოვანესი როლი ქართული სახელმწიფოებრიობის რთულ და გადამწყვეტ პერიოდებში. აღნიშნულის ნათელ მაგალითად გამოდგება ისიც, რომ ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც შეიძლება მიჩნეული იყოს არასამთავრობო ორგანიზაციად, იყო ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

4.3. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არარსებობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსარჩელეები წარმოადგენენ მედია ორგანიზაციებს - „სტუდია მონიტორი“ წარმოადგენს საზოგადოებრივ-ორგანიზაციული ფორმის მქონე გაერთიანებას, ხოლო „საინფორმაციო ცენტრების ქსელი“, მართალია, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით კომერციული ორგანიზაციაა (შპს), თუმცა მისი, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავისუფალი საქმიანობისა და საზოგადოების ინფორმირების განსაკუთრებული სტატუსი, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცულია. ასევე, აღსანიშნავია, „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ საქმიანობის გამორჩეული და განსხვავებული სპეციფიკა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საგამოძიებო ჟურნალისტიკის წარმოებას, ქვეყანაში არსებული პრობლემების გაშუქებას ახალი ამბებისა თუ სიღრმისეული რეპორტაჟების ფორმატში, არამედ, მოქალაქეთა მობილიზებით გამოვლენილი პრობლემების ადვოკატირებასაც, რაც მოიცავს სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებასთან ურთიერთობას, სხვა საზოგადოებრივ, სათემო ორგანიზაციებთან გაერთიანებას და საერთო მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბებაში და განვითარებაში ხელშეწყობას.

სადავო ნორმები არსებითად ეწინააღმდეგება გაერთიანების თავისუფლების დაცვის საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ და ევროკავშირში აღიარებულ სტანდარტებს. სადავო კანონის მე-2 მუხლით ფაქტობრივად მკვიდრდება მასტიგმატიზებელი, შეურაცხმყოფელი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი სტატუსი. რეესტრში რეგისტრაციისა და

[49] იქვე.II -16.
[50] იქვე.II -2

ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება (იხ. წინამდებარე სარჩელის 3.2.1. პუნქტი), მხოლოდ ფინანსების წარმომავლობის ფართო კრიტერიუმის საფუძველზე (უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ ითვლება ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის შემოსავლის 80%-ზე მეტი საქართველოდან/საქართველოს მოქალაქისგან არ არის მიღებული) წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლებაში უხეშ ინტერვენციას. გაერთიანების თავისუფლებაში სახელმწიფოს მსგავსი ინტერვენცია ქმნის მოსარჩელეებისთვის და სხვა, მსგავსი ორგანიზაციებისთვის შემდეგ საფრთხეებს:

1. გაერთიანების თავისუფლების შეუფერხებელი და ეფექტიანი ფუნქციონირების წინაპირობა საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებაა. მოსარჩელეები წლების განმავლობაში ქმნიდნენ საკუთარ საქმიან რეპუტაციას. მოსარჩელეთა საინფორმაციო და საგამოძიებო საქმიანობის მთავარ მიზნებს წარმოადგენს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა; სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კონტროლი და მათზე ზედამხედველობა; ადამიანის უფლებების დაცულობა და ინფორმირებულობა; არჩევნების სამართლიან და თანასწორ გარემოში ჩატარება; უსაფრთხო გარემოში ცხოვრება და სხვა. მოსარჩელე ორგანიზაციებში, ადამიანები ძირითადად, სწორედ ამ იდეების, ღირებულებების ირგვლივ ერთიანდებიან და იწყებენ მუშაობას. ერთი მხრივ, ღირსების შემლახავი და მასტიგმატიზებელი სტატუსი, ხოლო მეორე მხრივ, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ქმედებების განხორციელება (იხ. წინამდებარე სარჩელის 3.2.1 პუნქტი), ცალ-ცალკე და მთლიანობაში გამოიწვევს მოსარჩელეთა სტიგმატიზაციას, მოსარჩელეთა სოციალური იმიჯის განადგურებას და ხელს შეუწყობს მათდამი მტრული გარემოს ჩამოყალიბებას.

   შეურაცხმყოფელი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი სტატუსი მნიშვნელოვნად შეაფერხებს, ხშირად კი სრულად გამორიცხავს საზოგადოების სურვილს, გაერთიანდეს ან დასაქმდნენ მსგავს ორგანიზაციებში, რადგანაც „აგენტის“ იარლიყი პერსონალურად მასზეც ჰპოვებს ასახვას.

2. ნებისმიერი ორგანიზაციის გაერთიანების ფუნქციონირებისთვის, განსაკუთრებით მედია ორგანიზაციისათვის, უმნიშვნელოვანესი საკითხია ინფორმაციის დაცულობა და უსაფრთხოება. სადავო ნორმები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებს“ პრაქტიკულად ავალდებულებს გასცენ და საჯაროდ გამოაქვეყნონ ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის: ვინ არის დასაქმებული; რა ანაზღაურებას და ბენეფიტებს/სარგებელს იღებს თითოეული დასაქმებული; ვინ არის წყარო და ა.შ.

   ორგანიზაციასთან დაკავშირებულ თითოეულ სუბიექტს უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ მის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, საკმაოდ სენსიტიური ხასიათის ინფორმაცია), რომელიც მოსარჩელეებს მიანდო, დაცული იქნება სათანადო წესითა და გაუთქმელობის პირობით. ამის გარეშე, შეუძლებელია რომელიმე გაერთიანებამ/ორგანიზაციამ საზოგადოების მინიმალური ნდობაც კი მოიპოვოს.

   ბევრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი საქმიანობისა და ანაზღაურების/ფინანსების

შესახებ ინფორმაცია საჯარო არ იყოს, შესაბამისად, სადავო ნორმები გამორიცხავს, ასეთი ადამიანების დასაქმებას და ურთიერთობას მოსარჩელე ორგანიზაციებთან;

3. მასტიგმატიზებელი სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვნად შეამცირებს საზოგადოების ნდობას მედიის მიმართ, დამანგრევლად აისახება მკითხველისა და მაყურებლის დამოკიდებულებაზე კონკრეტულ მედიაორგანიზაციასთან დაკავშირებით და გამოიწვევს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული, პროექტებიდან გამომდინარე შემოსავლების დაკარგვას/შემცირებას. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი მიდგომებით, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება მოსარჩელეების მხრიდან დაფინანსების მოპოვება, როცა ასეთი ორგანიზაციების ძირითადი ფინანსური რესურსი სწორედ დამოუკიდებელი საგრანტო მხარდაჭერაა, ხოლო დაფინანსების არარსებობის პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება საქმიანობის განხორციელება.

4. სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სადავო ნორმების მოქმედება ვრცელდება 2023 წელზე, რაც მოსარჩელეებს ავტომატურად აქცევს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლებად“ და მათ თეორიულადაც არ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ აიცილონ ეს სტატუსი და მისგან გამომდინარე უფლებრივი შეზღუდვები.

გაერთიანების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას, გარკვეულ შემთხვევაში მართლზომიერად შეზღუდოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

სახელმწიფოს აქვს უფლება, შეზღუდოს კონვენციის მე-8, მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, თუ ასეთი შეზღუდვა: ა) არის კანონის შესაბამისად, ან კანონით გათვალისწინებული; ბ) ემსახურება კანონიერ მიზანს (მაგ., ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა) და გ) აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ პირობების საფუძველზე აფასებს, მართლზომიერია თუ არა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა. ზუსტად ამ პირობების საფუძველზე უნდა შეაფასონ ეროვნულმა სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერება.

სადავო ნორმები არ აკმაყოფილებს შეზღუდვის არსებობის არცერთ პირობას. თუ მათი მიზანია უცხოური ძალისგან მიღებული შემოსავლების გამჭირვალობა, მაშინ რატომ არის ორგანიზაცია ვალდებული მთელი წლიური შემოსავლისა (მათ შორის, კომერციული შემოსავლის) და ხარჯვის შესახებ ინფორმაცია დაადეკლარიროს, თანამშრომლების ხელფასები გაასაჯაროოს მათი სახელისა და გვარების მითითებით, ამოიღოს განსაკუთრებული კატეგორიის შემცველი ინფორმაცია და ა.შ.

თუ დავუშვებთ, რომ უცხოური ძალისგან მიღებული შემოსავლების გამჭირვალობა ლეგიტიმურ/გამართლებულ მიზანს წარმოადგენს, მაშინ ამ მიზნის მიღწევისათვის საკმარისი

იქნებოდა, ორგანიზაციებს წარედგინათ დეკლარაცია და დეტალური ხარჯთაღრიცხვა, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების შესახებ.

სადავო ნორმებით დადგენილი სახელმწიფო მონიტორინგის წესი იძლევა მონიტორინგის მაღალი ინტენსივობით ჩატარების შესაძლებლობას. ამდენად, სახელმწიფოს, ფაქტობრივად, უჩნდება ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევისა და მისი საქმიანობის კანონისმიერი შეფერხების ბერკეტი. მაღალი სანქციები, რომლებსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, გამოიწვევს ორგანიზაციის მძიმე მატერიალურ-ფინანსურ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც საბოლოოდ გახდება, ნებით ან ძალით, ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი.

ეუთოს დასკვნაში მითითებულია, რომ ასოციაციების დაფინანსების „გამჭვირვალობის", „გახსნილობის" ან „საჯაროობის" უზრუნველყოფის მიზანი თავისთავად არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც ის შეიძლება წარმოადგენდეს ერთი ან ერთზე მეტი ლეგიტიმური მიზნის დევნის საშუალებას, რომლითაც აღიარებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვის დაშვება, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგი ან ისეთი დანაშაულების პრევენცია, როგორიცაა კორუფცია, მითვისება, ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება[51].

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეაფასა 2012 წლის რუსეთის საგარეო აგენტების შესახებ კანონი და დაადგინა, რომ „უცხოელი აგენტების" ორგანიზაციების ახალი კატეგორიის შემოღებამ, ასევე მძიმე აუდიტისა და ანგარიშგების ვალდებულებებმა და გადაჭარბებული და თვითნებური ჯარიმების დაწესებამ, გამოიწვია განმცხადებელი ორგანიზაციების დაქვემდებარება ზომებისადმი, რომლებიც საჭიროდ არ მიიჩნეოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში[52].

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, შესაძლოა, იყოს ლეგიტიმური მიზანი (ეროვნული უსაფრთხოების ნაწილში), მაგრამ საკმარისი არ არის გაერთიანების/თავისუფლებაზე შეზღუდვების დაწესებისთვის. როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ნებისმიერი დასაშვები შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას ჩარევისთვის. მხოლოდ გამჭვირვალობის აუცილებლობაზე მითითებით კანონი ვერ იქნება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გაერთიანების თავისუფლების მოთხოვნასთან შესაბამისობაში.

წარმოდგენილი არგუმენტაცია ცხადყოფს, რომ სადავო ნორმები ლეგიტიმური მიზნის გარეშე,

[51] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, შენიშვნები „საკანონმდებლო ინიციატივები საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების თაობაზე ან ე.წ. „უცხოური აგენტების კანონი" და სხვა მსგავსი კანონმდებლობა და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, 25.06.2023წ, პარაგრაფი 5, https://www.osce.org/odihr/556074

[52] ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), 2024 წლის 21 მაისის სასწრაფო დასკვნა CDL-PI(2024)013 საქართველოს კანონზე ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ", პარაგრაფი 32, https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2024)013-e

ინტენსიურად ზღუდავს გაერთიანების თავისუფლებით დაცულ სფეროს, რაც აშკარად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლს.

5. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტით დაცულ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით

5.1. კონსტიტუციით დაცული სფერო

სამართლის წინაშე თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის ნორმა-პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია; აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი ახდენს არა მხოლოდ თანასწორობის ძირითადი უფლების რეგლამენტირებას, არამედ წარმოადგენს თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს, „რომელიც, ზოგადად, გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“[53].

სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლთან მიმართებით შეფასებისათვის, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, არიან თუ არა სადავო ნორმის მოქმედების ადრესატები/სუბიექტები არსებითად თანასწორნი ამ ნორმით განსაზღვრული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში და, ასეთის დადასტურების შემთხვევაში, არის თუ არა სახეზე არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანასწორი მოპყრობა.

3.1. ჩარევა დაცულ სფეროში

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, და „დ“ ქვეპუნქტები, მე-4 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები, მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლს, რომლის მიხედვითაც: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია

[53] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2)

დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.
სადავო მუხლების შინაარსი, მოსარჩელეს - „სტუდია მონიტორს“, როგორც ა(ა)იპ-ს, არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს შემდეგი ფაქტორების გამო:

- სადავო ნორმების მასტიგმატიზებელი, შეურაცხმყოფელი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ტერმინით არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ისეთ ა(ა)იპ-ებთან მიმართებაში, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არიან დაფუძნებულნი;
- მასტიგმატიზებელი რეესტრი;
- ყველა ფინანსური ტრანზაქციის საჯაროობა და აღნიშნულის უზრუნველყოფისთვის დამატებითი რესურსების გაღება.

3.2. თანასწორობის უფლება და მისი დარღვევა
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის ძირითადი არსი და მიზანი არის ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით[54].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში ... დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს - არსებითად თანასწორებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით“[55].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცულ თანასწორობის უფლებაში ჩარევა დადგინდება, მათ შორის, მაშინ, თუ ნორმა არსებითად თანასწორ პირებს შეუქმნის განსხვავებულ შესაძლებლობებს, აღჭურავს განსხვავებული უფლებებითა თუ ვალდებულებებით [56].

---

[54] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2;
[55] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4
[56] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №2/3/663 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5;

როგორც ზემოთ აღინიშნა, დიფერენცირების ფაქტის არსებობა ყოველთვის არ არის საკმარისი საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცული უფლების სფეროში ჩარევის დასასაბუთებლად, „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს პირიქით“ [57].

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმების კონსტიტუციის მე-11 მუხლთან შესაბამისობაზე მსჯელობისას, აუცილებელია, გამოიკვეთოს შესადარებელი ჯგუფები და განისაზღვროს, რამდენად წარმოადგენენ ისინი არსებითად თანასწორ სუბიექტებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით[58].

მოცემულ შემთხვევაში, ნათელია, რომ ა(ა)იპ „სტუდია მონიტორისადმი“ შესადარებელ ჯგუფს წარმოადგენს ისეთი ა(ა)იპ-ები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არიან დაფუძნებულნი და რომლებიც შემოსავლის 20 %-ზე მეტს უცხოური ძალისგან იღებენ ან მიიღებენ (სახელმწიფო ა(ა)იპ-ები). თანასწორობა კი ირღვევა ორგანიზაციის დამფუძნებელთა ნიშნით. კერძოდ, განსხვავებულ მდგომარეობას განაპირობებს ის, რომ ა(ა)იპ „სტუდია მონიტორის“ დამფუძნებელი არ არის ადმინისტრაციული ორგანო.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი ა(ა)იპ სარგებლობს თანაბარი უფლებებითა და ვალდებულებებით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მისი დამფუძნებელი. საკანონმდებლო კუთხით თანასწორობის მიუხედავად, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი ა(ა)იპ-ებს, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არ არიან დაფუძნებულნი და წლის განმავლობაში 20 %-ზე მეტ შემოსავალ ღებულობენ უცხოური ძალისგან, მასტიგმატიზებელ, შეურაცხმყოფელ და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ -„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის” სტატუსს ანიჭებს და დამამცირებელი პროცედურებით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში (შემდგომში რეესტრი) რეგისტრაციას ავალდებულებს (თუ რატომ არის აღნიშნული სტატუსი შეურაცხმყოფელი, არგუმენტაცია იხილეთ წინამდებარე სარჩელის 3.2.1 პუნქტში).

წინამდებარე შემთხვევაში, თანასწორობის უფლება ირღვევა თვით სადავო ნორმების გაცხადებული „ლეგიტიმური მიზნიდან - გამჭირვალობიდან“ გამომდინარე.

კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონის ერთადერთი მიზანი „გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა”. მოცემული საკანონმდებლო დანაწესებიდან გამომდინარე, „გამჭირვალობაში“ იგულისხმება გაერთიანების/ორგანიზაციის მონაცემებისა და ფინანსური/ხარჯვითი ნაწილის „საჯაროობა/საქვეყნოობა“, სხვა შემთხვევაში, აუცილებელი არ

[57] საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2.

[58] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

უნდა ყოფილიყო რეესტრის შექმნა და საქვეყნოობის უზრუნველყოფა, რადგანაც სახელმწიფოსთვის ისედაც ცნობილია გაერთიანებების/ორგანიზაციის დაფინანსების წყაროსა და ხარჯვის შესახებ ინფორმაცია. მოსარჩელეები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, მოთხოვნილი ფორმებით, ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად და ყოველწლიურად წარუდგენენ შემოსავლების სამსახურს და საქსტატს, ასევე, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს.

სრულიად გაუგებარია არგუმენტაცია, რომ **<u>სახელმწიფო უზრუნველყოფს მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების გამჭირვალობას და საჯაროობას</u>**. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ არც ადმინისტრაციული ორგანოები და არც მათდამი დაქვემდებარებული, სრულად ან უმეტესად საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი იურიდიული პირები, ხშირ შემთხვევაში არ გასცემენ საჯარო ინფორმაციას[59] მათი შემოსავლების, ხარჯების თაობაზე, მითუმეტეს, ააიპ-ების და შპს-ების შემთხვევაში, მათთან რეალურად დასაქმებული თუ ფიქტიურად გაფორმებული პირების, მათზე გაცემული ხელფასებისა და დანამატების შესახებ. მეტიც, მათ შორის, არ გასცემენ ისეთ საჯარო ინფორმაციას, რომელიც ააიპ-ის მიერ, საბიუჯეტო რესურსებით განხორციელებულ საქმიანობას ეხება. ბოლო 2 წლის განმავლობაში, მოსარჩელე საინფორმაციო ცენტრების ქსელს, ასეთ შემთხვევებზე (უარი მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე), ზემდგომ თანამდებობის პირებთან ან ადმინისტრაციულ ორგანოებში 500-ზე მეტი ადმინისტრაციული საჩივარი აქვს წარდგენილი, სხვადასხვა სასამართლოში კი 50-ზე მეტი სარჩელი.

გამოდის, რომ სახელმწიფო ავალდებულებს სრულ საჯაროობას/საქვეყნოობას კერძო ა(ა)იპ-ებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან თეთრს არ იღებენ და, ამავდროულად, საჯარო არ არის ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო ა(ა)იპ-ების მონაცემები.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საუბარია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების/"უცხოური ძალის" დაფინანსების გამჭირვალობაზე, რომელთა დახმარების უზარმაზარი ნაწილი სამთავრობო ინსტიტუტებსა და პროგრამებზე მოდის.[60]

ევროკავშირის წარმომადგენლობის ინფორმაციით, 2019-2024 წლებში ევროკავშირის დაფინანსება საქართველოს სამინისტროებისთვის და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, 11-ჯერ აღემატება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის გამოყოფილ თანხებს. საქართველოში ევროკავშირის დახმარების (2019 2024 წწ. – 517 მილიონი ევრო) უმსხვილეს 10 ბენეფიციარს შორის შემდეგი სამთავრობო ინსტიტუტებია: 111,55 მილიონი ევრო – რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/ადგილობრივი თვითმმართველობები; 101,40 მილიონი ევრო – ფინანსთა სამინისტრო; 62,75 მილიონი ევრო – თავდაცვის სამინისტრო; 57 მილიონი ევრო – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სააგენტოები; 5

[59] https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90(%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D)_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_-_GEO_1698329543.pdf

[60] https://1tv.ge/news/evrokavshiris-warmomadgenloba-2019-2024-wlebshi-evrokavshiris-dafinanseba-saqartvelos-saministroebistvis-11-jer-aghemateba-samoqalaqo-sazogadoebis-organizaciebistvis-gamoyofil-tankhebs/

მილიონი ევრო – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; 25,07 მილიონი ევრო – ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სააგენტოები; 19 მილიონი ევრო – მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია; 12,85 მილიონი ევრო – განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; 10,5 მილიონი ევრო – შინაგან საქმეთა სამინისტრო; 4 მილიონი ევრო – მთავრობის ადმინისტრაცია. მე-11 არის საქართველოს პარლამენტი – 4.8 მილიონი ევრო.

ევროკავშირის 46.1 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსება მოიცავდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სექტორში მომუშავე 170-ზე მეტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ 47 პროექტს: ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა: 8.6 მილიონი ევრო; დემოკრატიული ჩართულობა და დამოუკიდებელი მედია: 8 მილიონი ევრო; ბიზნესის განვითარება და პროფესიული განათლება: 7.9 მილიონი ევრო; უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ხელშეწყობა: 4.9 მილიონი ევრო; კულტურა და შემოქმედებითი ინდუსტრიები: 4.6 მილიონი ევრო; ნდობის აღდგენა კონფლიქტის მოგვარებისთვის: 4 მილიონი ევრო; დეცენტრალიზაცია და სოფლის განვითარება: 3.9 მილიონი ევრო; გარემოს დაცვა და კლიმატი: 2 მილიონი ევრო; საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა: 1.2 მილიონი ევრო, იურიდიული და სასამართლო სისტემა: მილიონი ევრო.

აგენტურის, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის და დანაშაულებრივი ჯგუფების გამოვლენა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სხვა საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებაა. სრულიად გაუგებარია, საზოგადოებამ რატომ უნდა იცოდეს ყველაფერი მხოლოდ კერძო ა(ა)იპ-ების კანონიერი და ლეგიტიმური შემოსავლების შესახებ და არ იცოდეს არაფერი სახელმწიფო ა(ა)იპ-ების შემოსავლებსა და ხარჯებზე, მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ა(ა)იპ-ების შემოსავლის დიდი ნაწილი სწორედ მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებია.

აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო ა(ა)იპ-ებს სადავო მუხლები აკისრებს დამატებითი ხარჯების გაწევას. სადავო მუხლების შესაბამისად, კერძო ა(ა)იპ ვალდებულია დაადეკლარიროს „წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობა და მიზანი", მიუხედავად იმისა, ეს შემოსავალი კომერციული იყო თუ არა. მსგავსი ტრანზაქციები კი შეიძლება იყოს ათასობით. ამგვარად, იმისათვის, რომ დეკლარაცია სრულფასოვნად შეივსოს და თავიდან იქნას აცილებული შემდგომი გართულებები, აუცილებელი გახდება დამატებითი რესურსის მოძიება, რაც ავტომატურად გამოიწვევს დამატებით ფინანსურ ხარჯებს, რისგანაც განთავისუფლებულები არიან სახელმწიფო ა(ა)იპ-ები.

„ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციას არ ნიშნავს. ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა, დიფერენცირებული მოპყრობა საჭირო და გარდაუვალიც იყოს. ეს ხშირად აუცდენელია. შესაბამისად, დიფერენცირება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროსთვის უცხო არ არის, თუმცა თითოეული მათგანი არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი"[61].

[61] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8

დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისას და დადგენისას, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ძირითადი მიდგომა: „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“ [62].

დიფერენცირებულად მოპყრობის გონივრულობის მასშტაბი განსხვავებული შეიძლება იყოს თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევასთან მიმართებით. „ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას *[...],* სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ, შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა“[63].
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დიფერენცირების კონსტიტუციურობას მკაცრი ტესტის ფარგლებში აფასებს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით[64]: „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“[65].

მოცემულ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ განსხვავებული მოპყრობა არ ემსახურება არც საჯარო ლეგიტიმურ მიზანს და არც სადავო კანონმდებლობის მიზანს. დიფერენციაციის მიზეზები ერთმნიშვნელოვნად აუხსნელია და მოკლებულია გონივრულ საფუძვლებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი მოითხოვს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება და თავისუფლება დაცული და გამოყენებული იქნას დისკრიმინაციის გარეშე. მათ შორისაა ის უფლებები და

[62] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3;

[63] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5

[64] საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6

[65] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60)

თავისუფლებებიც, რომლებიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლში. ხსენებული კონვენციის მე-14 მუხლის სახელმძღვანელოს თანახმად, „დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც პირს (ფიზიკურ პირს, ასევე მათ გაერთიანებას), რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიერ, ეპყრობიან ნაკლები კეთილმოსურნეობით, ვიდრე მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა პირებს და ასეთი მოპყრობა ვერ გამართლდება ობიექტურად და გონივრულად.

განსხვავებული მოპყრობა ა(ა)იპ-ების მიმართ მხოლოდ იმის გამო, რომ შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოური წყაროდან არის მიღებული, დისკრიმინაციულად მიაჩნია ვენეციის კომისიასაც. ვენეციის კომისიამ არაერთხელ გააკრიტიკა მსგავსი დისკრიმინაციული მიდგომა. მაგალითისთვის, რუსეთის უცხოური აგენტების შესახებ კანონის შემთხვევაში, ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ პრეცედენტულ სამართალში „არასამთავრობო ორგანიზაციის უცხოური წარმომავლობა არ იყო ლეგიტიმური მიზეზი მის მიმართ განსხვავებულად მოპყრობისათვის; ანალოგიური მიდგომა ვრცელდება უცხოური დაფინანსების შემთხვევაშიც.“[66] როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ კანონის ექსპერტთა საბჭომ დაასკვნა, სტატუსის მინიჭების მოთხოვნა დამატებით საფუძველს გააჩენს არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკური მიზეზებით დისკრიმინაციისთვის[67].

[66] ვენეციის კომისიის მოსაზრება რუსეთის ფედერაციის მიერ უცხოეთიდან დაფინანსებული არაკომერციული ორგანიზაციების მარეგულირებელ აქტებში ცვლილების შეტანის შესახებ (2013 წლის აგვისტო)

[67] არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ კანონის ექსპერტთა საბჭო. მოსაზრება უნგრეთის უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების გამჭვირვალობის შეახებ კანონთან დაკავშირებით, 2017, https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168070bfbb

III
შუამდგომლობები *შენიშვნა* [68]

1. შუამდგომლობა მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე

---

2. შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე

მოთხოვნა: **საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეჩერდეს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „დ" ქვეპუნქტები, მე-4 მუხლის დასახელება და ამავე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები, მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, მე-8 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები, მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.**

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.

მოქმედი წესის თანახმად, ნორმის მოქმედების შეჩერება შესაძლებელია, თუ მის მოქმედებას შეუძლია გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-2). ამასთან, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ნორმის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს ნორმის შეჩერებით გამოწვეული სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეც." (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის N1/3/509 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე სოფიო ებრალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9).

სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების არსებული სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მექანიზმი იცავს

[68] საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა მოსარჩელეს ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სხვადასხვა ტიპის შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობას. წარმოდგენილ ველში შეგიძლიათ დააყენოთ შესაბამისი შუამდგომლობები. შუამდგომლობის წარმოდგენის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ მისი საფუძვლიანობის დამადასტურებელი არგუმენტები, ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

მოსარჩელეს უფლების აუცდენელი და შეუქცევადი დარღვევისაგან და ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ეფექტიანობას. „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და არსებობს საფრთხე, რომ პირის უფლებაში აღდგენა არ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ“. ამიტომ „კანონმდებლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას ითვალისწინებს ... იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედება გამოიწვევს მხარისათვის გამოუსწორებელ შედეგებს. შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი მიმართულია იმ აუცდენელი და შეუქცევადი საფრთხეების პრევენციისკენ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სადავო აქტის მოქმედებას და რომლის გამოსწორება შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგაც“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/2/577 საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)” და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 31-35.).

2024 წლის 3 სექტემბრიდან, იუსტიციის სამინისტროს მიენიჭება რეესტრის წარმოებისა და მონიტორინგის დაწყების უფლებამოსილება, რაც მოსარჩელე მხარეებს დააყენებს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ იძულებითი რეგისტრაციის, ჯარიმების დაკისრების, დისკრიმინაციის, გამოუსწორებელი ზიანის მიღების და შედეგად, საქმიანობის შეზღუდვა/შეწყვეტის საფრთხის წინაშე.

მონიტორინგის მექანიზმის „მოქნილობა” და ბოროტად გამოყენების პოტენციალი, ისევე როგორც მონიტორინგის მომწესრიგებელი ვადებისა და პროცედურების ნაკლოვანება, მოსარჩელეთათვის ჯარიმების დაკისრების რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ორგანიზაციას, რომელიც შეეცდება თავისი უფლებების დაცვას და უარს იტყვის მასტიგმატიზებელ და ღირსების შემლახავ რეესტრში რეგისტრაციაზე, 2024 წლის ბოლომდე, სულ მცირე 55 000 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრება.

შემჭიდროვებული ვადების გათვალისწინებით, სადავო ნორმები მოკლე დროში გამოიწვევს ჯარიმების აღსასრულებლად მიქცევას, ხოლო მოსარჩელეები, ობიექტურ მიზეზთა გამო, დაკისრებული ჯარიმების გადახდას ვერ შეძლებენ (იხ. წინამდებარე სარჩელის 3.2.3 პუნქტი).

რაც ყველაზე მთავარია, მოსარჩელეებს შესაძლებელია აიძულონ კონფიდენციალური წყაროების ვინაობის, საგამოძიებო ექსპერიმენტების, სხვადასხვა ექსპერტიზების შესახებ არასაჯარო ინფორმაციის გამხელა, რაც საგამოძიებო მედია ორგანიზაციებისთვის სიკვდილის ტოლფასია, ხოლო წყაროს, რესპონდენტებს, მონაწილე პირებს დაუცველს ხდის რეპრესიებისგან. ასევე, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ორგანიზაციებში დასაქმებულების ხელფასების/ფინანსების შესახებ ინფორმაცია საჯარო გახდება მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს ყველაფერი გამოიწვევს არაერთი ადამიანის კონსტიტუციით დაცული უფლების დარღვევას, რასაც შესაძლოა, სავალალო შედეგები მოჰყვეს.

ამგვარად, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების გარეშე, მოსარჩელეები კარგავენ პროფესიული (ჟურნალისტური) კონფიდენციალობის გარანტირებულ უფლებას, რითაც ისინი

იცავდნენ თავიანთ წყაროებს, მოიპოვებდნენ სანდო და ექსკლუზიურ ინფორმაციას. შედეგად, შეუძლებელი იქნება მწვავე და აქტუალური საკითხების გაშუქება, საგამოძიებო სიუჟეტების მომზადება და საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადებისა და სადავო კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ქმედებები განხორციელდება, ძალაში შევა, აღსრულდება და საკუთარ დამაზიანებელ ეფექტებს გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2)“.

აღსანიშნავია, რომ საქმე გვაქვს კანონთან - ნორმატიულ აქტთან, რომელიც უპრეცედენტო მასშტაბის სახალხო პროტესტის, შიდა და საერთაშორისო კრიტიკული მოწოდებებისა და გაფრთხილებების მიუხედავად, რომ რუსული კანონის მიღება ხელს შეუშლის საქართველოს ევროინტეგრაციას, სამართლებრივი დასკვნებისა და რეკომენდაციების იგნორირებით, მმართველის პარტიის - „ქართული ოცნების“ მიერ მაინც იქნა მიღებული.

მოცემულ ეტაპზე, მოსარჩელეების მხრიდან ამოწურულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი ყველა მექანიზმი, რისი განხორციელებაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მომართვამდე იყო შესაძლებელი. წინამდებარე შემთხვევაში, მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს არათუ სადავო ნორმებიდან მომდინარე და გარდაუვლად გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილების, არამედ მისი შედეგების თუნდაც მცირედით შემცირების რაიმე ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია პირის სამართლიანი სასამართლოს უფლება. მოცემულ შემთხვევაში, მიგვაჩნია, იმისათვის რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან სადავო მუხლების განხილვისას დაცული იქნას აღნიშნული უფლება, აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებამდე მათი მოქმედების შეჩერება.

შესაბამისად, სადავო კანონის მოქმედება უნდა შეჩერდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შესაძლებელს გახდის იმ ზიანის თავიდან აცილებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ კანონის მოქმედებასთან. ამავდროულად, სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, კანონის შეუჩერებლობის შემთხვევაში, შეუძლებელი

იქნება კანონის მოქმედების პირობებში დამდგარი ზიანის თავიდან აცილება.

---

3. შუამდგომლობა პერსონალურ მონაცემთა დაფარვის თაობაზე

---

4. შუამდგომლობა/მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ

---

5. სხვა შუამდგომლობები

IV
თანდართული დოკუმენტები

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დანართები

სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი	☒
ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	☒
წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი	☒
კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია	☒
მოსარჩელის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი	☒

2. სხვა დანართები *შენიშვნა* [69]

1.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27^3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ხელმოწერის ავტორი/ავტორები	თარიღი	ხელმოწერა
1. გელა მთივლიშვილი 2. ნინო ზურიაშვილი	1. 16.08.2024 2. 16.08.2024	1. 2.

[69] გთხოვთ მიუთითოთ დანართის ნომერი, თანდართული დოკუმენტის დასახელება და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (არსებობის შემთხვევაში).